

ქ. თბილისში, ნარიმანოვის ქ. №12 ში
მდებარე მიწის ნაკვეთების
(01.18.01.002.020, 01.18.01.002.021)
განაშენიანების რეგულირების გეგმა

ADS

თბილისი 2016 წელი



დამკვეთი: შპს "ემ.ჯი. ალიანსი"

საიდენტიფიკაციო კოდი 406175758

დირექტორი: ზაზა იჩკიტიძე

დამპროექტებელი: შპს "ეი-დი-ეს"

საიდენტიფიკაციო კოდი 406140484

დირექტორი: გიორგი ქურციკიძე

პროექტის ავტორები

პრ. მთ. არქიტექტორი	გიორგი ბერეკაშვილი
არქიტექტორი	გიორგი ქურდიანი
არქიტექტორი	მარიამ იორდანიშვილი

პროექტის მონაწილეები

ტოპოგრაფია	"ემ.ჯი.ალიანსი"
გეოლოგია	დავით შანიძე
დენდროლოგია	ლია ქურციკიძე
3 უზრუნველყოფა	რომეო მოლაშხია

განაშენიანების რეგულირების გეგმა დამუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ნორმატული დუკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად

ნაწილი I

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შედგენის საფუძვლები
(საწყისი და ნებადამრთველი დოკუმენტები)

- საკადასტრო მონაცემები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება
- ტოპოგრაფია
- ზოგადი გეოლოგიური პირობები

ნაწილი II

განაშენიანების რეგულირების გეგმა ტექსტური და გრაფიკული ნაწილი

- განმარტებითი ბარათი
- პირობითი აღნიშვნები

- გრაფიკული ნაწილი :

1 საწყისი მონაცემები

1.1 საპროექტო ტერიტორია ქალაქის სტრუქტურაში ——————— გრგ-1

1.2 სიტუაციური გეგმა ——————— გრგ-2

1.3 ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების რუკა——————— გრგ-3

1.4 ფუნქციური ზონირების რუკა ——————— გრგ-4

1.5 შეზღუდვის ზონირების რუკა ——————— გრგ-5

1.6 საავტომობილო გზის მოდერნიზაციის შეზღუდვის რუკა ——————— გრგ-6

1.7 ტექნოგენური საფრთხეების ზონირების რუკა——————— გრგ-7

1.8 ბუნებრივი საფრთხეების ზონირების რუკა——————— გრგ-8

1.9 სატრანსპორტო ქსელი——————— გრგ-9

1.10 კრწანისი - შინდისის დამაკავშირებელი გზის სქემა——————— გრგ-10

1.11 შენობა-ნაგებობათა სართულიანობა——————— გრგ-11

1.12 საპროექტო ტერიტორიის საზღვრების რუკა——————— გრგ-12

1.13 საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვრები, საკადასტრო
ერთეულები და მათი მისამართები ——————— გრგ-13

1.14 საპროექტო ტერიტორიის ფოტოფიქსაცია ——————— გრგ-14

1.15 საპროექტო ტერიტორიის ფოტოფიქსაცია ——————— გრგ-15

1.16 საპროექტო ტერიტორიის ფოტოფიქსაცია ——————— გრგ-16

1.17 ქუჩის სიგანეებისა და შენობების სიმაღლეების ურთიერთმიმართება. რელიეფის კვლევა ——— ბრბ-17

1.18 ნაკვეთზე არსებული ხე-ნარგავების განლაგების სქემა, ინვენტარიზაცია ——— ბრბ-18

1.19 ნაკვეთზე არსებული ხე-ნარგავების განლაგების სქემა, ინვენტარიზაცია ——— ბრბ-19

1.20 გეგმარებითი ერთეულები და მონაცემები ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების შესახებ ——— ბრბ-20

1.21 გეგმარებითი ერთეულების განაშენიანების [კ-1] და განაშენიანების ინტენსივობის [კ2] კოეფიციენტები——— ბრბ-21

1.22 საპროექტო ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ციფრული მაკეტირება ——— ბრბ-22

2 საპროექტო გადაწყვეტები

2.1 ტერიტორიის განვითარების ძალაძთმშენებლობითი კონცეფცია – განაშენიანების გენგეგმა ——— ბრბ-23

2.2 ქუჩის სიგანისა და შენობების სიმაღლეების ურთიერთმიმართება (საპროექტო განაშენიანების სქემატური განშლები და ჭრილები) —— ბრბ-24

2.3 ტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის სქემა ——— ბრბ-25

2.4 ტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის ორგანიზების სქემა——— ბრბ-26

2.5 ტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის ორგანიზების სქემა - კვანძები ——— ბრბ-27

2.6 მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომების გეგმარების სქემა ——— ბრბ-28

2.7 მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომების გეგმარების სქემა ——— ბრბ-29

2.8 მიწისქვეშა და მიწისზედა ავტოსადგომების გეგმარების სქემა ——— ბრბ-30

2.9 მიწის ნაკვეთზე შენობათა განთავსების გეგმა——— ბრბ-31

2.10 ტერიტორიის განვითარების ეტაპები——— ბრბ-32

2.11 ვერტიკალური გეგმარება——— ბრბ-33

2.12 საინჟინრო შიდა ქსელების სქემა——— ბრბ-34

2.13 ტერიტორიის გამწვანების გეგმა ——— ბრბ-35

2.14 დადგენილი ზონები და გამოყენების სახეობების რუკა——— ბრბ-36

2.15 მიწის ნაკვეთის კოეფიციენტების კ1, კ2, კ3 დადგენის გეგმა——————— ბრგ-37
2.16 მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტების დოკუმენტი ——————————— ბრგ-38
2.17 საპროექტო გადაწყვეტის ციფრული მაკეტირება ——————————————— ბრგ-39
2.18 საპროექტო გადაწყვეტის ციფრული მაკეტირება ——————————————— ბრგ-40
2.19 საპროექტო გადაწყვეტის ციფრული მაკეტირება ——————————————— ბრგ-41
2.20 საპროექტო გადაწყვეტის ციფრული მაკეტირება ——————————————— ბრგ-42

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**01.18.01.002.020**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882016700541**	ფართობი:	**5497 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
მომზადების თარიღი:	**11/11/2016**	ვალდებულების ფართობი :	**741 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ტყის ფონდი

05/25 შენობა/ნაგებობა

05/25 მშენებარე ნაგებობა

ვალდებულება

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.18.01.002.020**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882016700541 - 10/10/2016 12:23:22

მომზადების თარიღი
11/11/2016 12:54:11

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	კრწანისი		
01	**18**	**01**	**002/020**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ნარიმანოვი , N 12 , (ნაკვ.02/020

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 5497.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**01.18.01.002.012;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 (ნანგრევი), N2 (ნანგრევი), N3 (ნანგრევი), N4 (ნანგრევი)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016424780 , თარიღი 06/07/2016 15:02:09
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/07/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N14385 , დამოწმების თარიღი:05/07/2016 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება Nე-310-28-19763 , დამოწმების თარიღი:01/06/2016 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) Nე-310-28-19763 , დამოწმების თარიღი:20/05/2016 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს ემ.ჯი. ალიანსი, ID ნომერი:406175758

მესაკუთრე: **აღწერა:**

შპს ემ.ჯი. ალიანსი

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016278379 თარიღი 04/05/2016 16:25:29	საგანი:მიწის ნაკვეთზე ფართობით 204 კვ.მ. ვრცელდება სერვიტუტის უფლება;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/05/2016	

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016700541 თარიღი 10/10/2016 12:23:22	**მოსარგებლე**: **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მესაკუთრე**: **შპს ემ.ჯი. ალიანსი** 406175758; საგანი:ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქალაქ თბილისში, ნარიმანოვის ქუჩა N12-ში მდებარე 01.18.01.002.020 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, დანართი N1-ისა და დანართი N2-ის შესაბამისად. (287.69 კვ.მ და 242 კვ.მ);
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/11/2016	**სერვიტუტის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი30/09/2016,**

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია სჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- სჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**01.18.01.002.021**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882016278364**	ფართობი:	**3361 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
მომზადების თარიღი:	**04/05/2016**	ვალდებულების ფართობი :	**158 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**



ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

ხაზობრივი ნაგებობა

ტყის ფონდი

05/25 შენობა/ნაგებობა

05/25 მშენებარე ნაგებობა

ვალდებულება

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.18.01.002.021**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882016424831 - 06/07/2016 15:08:53

მომზადების თარიღი
11/07/2016 17:15:55

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	კრწანისი		
01	**18**	**01**	**002/021**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ნარიმანოვი , N 12 , (ნაკვ.02/021)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 3361.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.18.01.002.012;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 (ნანგრევი), N2 (ნანგრევი), N3 (ნანგრევი), N4 (ნანგრევი), N5 (ნანგრევი), N6 (ნანგრევი), N7 (ნანგრევი)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016424831 , თარიღი 06/07/2016 15:08:53
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/07/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N14386 , დამოწმების თარიღი:05/07/2016 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონის ხელშეკრულება Nე-310-28-19763 , დამოწმების თარიღი:01/06/2016 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო
- აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი (ადმინისტრაციული დაპირება) Nე-310-28-19763 , დამოწმების თარიღი:20/05/2016 , ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქონების მართვის სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს ემ.ჯი. ალიანსი, ID ნომერი:406175758

მესაკუთრე:
შპს ემ.ჯი. ალიანსი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882016278364 თარიღი 04/05/2016 16:23:25

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/05/2016

საგანი:მიწის ნაკვეთზე ფართობით 158 კვ.მ. ვრცელდება სერვიტუტის უფლება;

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 258

"16" აგვისტო 2016 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.18.01.002.021; №01.18.01.002.020) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 14 ივლისი №36 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 3 აგვისტოს №04/14470 წერილის (AR1419358) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.18.01.002.021; №01.18.01.002.020) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1419358 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2.აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დასაპროექტებელი ობიექტი: მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება;

ობიექტის მისამართი/ : ქალაქი თბილისი , კრწანისის რაიონი , ნარიმანოვის ქუჩა #12

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი (საკადასტრო გეგმა/გეგმები): (საკადასტრო კოდები: #01.18.01.002.021, #01.18.01.002.020)

განმცხადებელი: მიხეილ ბალიაშვილი;

გრგ-ს საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართობი: 8858 მ²;

ტერიტორიის სამშენებლო განვითარების ზოგადი პირობები, მოთხოვნები და რეკომენდაციები:

ტერიტორიის დახასიათება და ქალაქთმშენებლობითი განვითარების შესაძლებლობები მდგომარეობს შემდგომში:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–105 დადგენილების მიხედვით ქ. თბილისში, ქალაქი თბილისი , კრწანისის რაიონი , ნარიმანოვის ქუჩა #12-ში არსებული მიწის ნაკვეთები (საკადასტრო კოდები: #01.18.01.002.021, #01.18.01.002.020) მდებარეობს შემდეგ ფუნქციურ ზონაში: საცხოვრებელი ზონა-2 (სზ-2)-ში;

საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს "ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

– საპროექტო განაშენიანების ფუნქციური ზონები და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები უნდა განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;

–საპროექტო ტერიტორიაზე დასაგეგმარებელი ობიექტების ფუნქციები უნდა განისაზღვროს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" შესაბამისად.

გრგ–ს გეგმარებითი დავალების გაცემის საფუძველია:

– განცხადება AR1419358 (11.07.2016 წ.)

– „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო"–ს სხდომის ოქმი #36 (14.07.2016წ.);

- მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი დაპროექტდეს გრგ–ს საპროექტო არეალის შესაბამის საზღვრებში;

- წარმოდგენილ იქნეს, გამიჯვნის სქემები, რომლის შესაბამისად მომზადებული საკადასტრო გეგმები საფუძველი იქნება შემდგომი ობიექტების ინდივიდუალური მშენებლობისთვის.

- ცალკეული შენობა-ნაგებობებისთვის მიწის ნაკვეთის გამიჯვნა, თითოეული მიწის ნაკვეთი უნდა იყოს საინჟინრო და სატრანსპორტო ინფასტრუქტურით სათანადოდ უზრუნველყოფილი, რისთვისაც მინიმალური პირობაა მშენებლობა დამთავრებულ ობიექტთან მინიმუმ ერთი მისასვლელის არსებობა, მათ შორის სერვიტუტის გამოყენებით.

- წარმოდგენილ იქნეს საპროექტო ტერიტორიისა და მის გარე ტერიტორიასთან კავშირის განსახორციელებლად სატრანსპორტო სქემა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის შესაბამისი დატვირთვების ანგარიშის შესაბამისად;

–მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დანგრევა და გატანა ან მათი სივრცით-გეგმარებითი მოწყობის შეცვლა განხორციელდეს;

– საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობა–ნაგებობების/ან მათი ნაწილის დაშლა და ტერიტორიიდან გატანა; სადემონტაჟო ნაგებობების კლასიდან გამომდინარე დამუშავდეს დემონტაჟის პროექტი/ები ან დემონტაჟის ეტაპები აისახოს მშენებლობის ორგანიზების პროექტში/ებში.

– მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება (საკადასტრო ერთეულების გაერთიანება-შერწყმა ახალი სერვიტუტების წარმოქმნა, ინსოლაცია, ბუნებრივი განათება, ჩაუხედავობა და სხვა) განისაზღვროს:

- განისაზღვროს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით, ქვეყანაში და დედაქალაქში დადგენილი სამართლებლივ-ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე.

- დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები;

- ტოპო გეგმა (მ. 1:500) ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ, საინჟინრო კომუნიკაციების, ხე–ნარგავების და სხვა დატანით (პირობითი აღნიშვნების მითითებით);

- შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს ზოგადი საინჟინრო გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებისას, ხოლო ინდივიდუალური მშენებლობის სტადიაზე დამკვეთმა სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო ტერიტორიების შესაბამისი გეოლოგიური დასკვნა.

- გრგ-ს პროექტის შეთანხმების სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს მიწის ნაკვეთების მესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა;

– გრგ–ს პროექტით განისაზღვროს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ფუნქციების პროპორციულობა;

– სარეკრეაციო სივრცეები დაიგეგმოს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ინფრასტრუქტურისთვის შესაბამისი მოცულობებით, განისაზღვროს სპორტული მოედნები, სკვერი, საბავშვო სათამაშო მოედნები;

– საჭიროების შემთხვევაში გრგ–ს პროექტის ფარგლებში დაიგეგმოს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ინფრასტრუქტურისთვის საჭირო სკოლა და საბავშვო ბაღი;

- საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ტერიტორია შემოისაზღვროს ღობით და მოეწყოს დაცვისთვის განკუთვნილი შენობა–ნაგებობა;

ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების შენარჩუნება, ტერიტორიის კეთილმოწყობა და გარემოს დაცვის პირობები განისაზღვროს შემდეგ ნაირად:

- მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავები ხოლო მათი მოჭრის ან გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში. საკითხი შეთანხმდეს ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურთან;

- ინდივიდუალური მშენებლობის განხორციელების დოკუმენტაციის პროექტებში წარმოდგენილ იქნეს მიწის ნაკვეთების და მისი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის და დენდროლოგიის სქემები.

- გეგმის დამუშავებისას გათვალისწინებული იქნეს გარემოსდაცვითი და სანიტარული კანონმდებლობის მოთხოვნები;

- გამოიყოს ტერიტორიები ნაგვის ყუთების განსათავსებლად;

- მოეწყოს ლიფტები და პანდუსები უნარშეზღუდული პირების ეტლების გადასაადგილებლად.

ტერიტორიის და მისი გეგმარებითი არეალის საინჟინრო-კომუნალური, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა განისაზღვროს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით:

- ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით;

- განაშენიანება უზრუნველყოფილი იქნეს საინჟინრო, სატრანსპორტო, სოციალური და სხვა სახის ინფრასტრუქტურით.

– გრგ–ს პროექტიტ განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

- კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში, დაცული იქნეს არსებული საინჟინრო კომუნიკაციებიდან და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი ნაგებობებიდან საპროექტო კომპლექსის განთავსების ნორმები ხოლო მათი გატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს შესაბამის მფლობელებთან;

- გრგ-ს პროექტის შესაბამისად განისაზღვროს ტერიტორიები საერთო სარგებლობის ღია ავტოსადგომების მოსაწყობად.

– მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი ღია და დახურული ავტოსადგომები მოეწყოს მიწის ნაკვეთის საზღვრებში. მათი რაოდენობა, როგორც საცხოვრებელი ისე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებისთვის განისაზღვროს ცალკეული ერთეულების რაოდენობის შესაბამისად.

ტერიტორიის სამშენებლო განვითარების პარამეტრები;

საპროექტო არეალი: 8858 მ2

ტერიტორიის არსებული ზონის სახეობა: საცხოვრებელი ზონა-2 (სზ-2);

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრებია:

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
კ-1		0,5	კოეფიციენტი
კ-2		0,8	კოეფიციენტი
კ-3		0,3	კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე		–	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	250	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	9	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	15	მეტრი
შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე		15*	მეტრი
შენიშვნა	* სასტუმროსთვის		

<u>ტერიტორიის საპროექტო ზონები განისაზღვროს პროექტის შეთანხმების სტადიაზე;</u>

<u>– იმ შემთხვევაში თუ გრგ-ს პროექტით წარმოდგენილი იქნება სხვა ფუნქციური ზონები, ქალაქგეგმარებითი პარამეტრები განისაზღვროს წარმოდგენილი ზონების შესაბამისად;</u>

<u>განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი სახეობა</u> -

ა)განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

ბ)განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

– განაშენიანების მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა განისაზღვროს გრგ-ს პროექტით.

<u>განაშენიანების რეგულირების გეგმის (შემდეგში – გრგ) შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:</u>

1. ტერიტორიის გრგ-ს გეგმარებითი დავალება ან რეკვიზიტი;
2. საკადასტრო რუკა და საკადასტრო გეგმები;
3. ზოგადი გეოლოგია;
4. ტოპო-გეოდეზიური ანაზომი საპროექტო ტერიტორიის საზღვრებითა და მომიჯნავე ინფრასტრუქტურის ჩვენებით მ. 1:500;
5. სიტუაციური გეგმა, მ 1:2000 ან მ 1:1000;
6. გრგ-ს ტექსტური ნაწილი: გრგ-ს აღწერა, განმარტებითი ბარათი, განხორციელების ეტაპები და რიგითობა;
7. ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა მ. 1:500;
8. განაშენიანების რეგულირების გეგმის ფრაგმენტ(ებ)ი (საჭიროების შემთხვევაში);
9. განშლები და ჭრილები, მ 1:500 ან მ 1:1000;
10. ფუნქციური ზონირების რუკა;
11. მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯვნის სქემა);
12. ავტოტრანსპორტისა და ქვეითთა მოძრაობის სქემა მ 1:500 ან მ 1:1000;
13. ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება, მ 1:000, მ 1:200 ან მ 1:500;
14. მომიჯნავე ტერიტორიებზე ჩასატარებელი ქალაქთმმშენებლობითი ღონისძიებების ჩამონათვალი და გეგმა მ 1:1000 ან მ 1:500 (საჭიროების შემთხვევაში);
15. გრგ-ს ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების 3D ელექტრონულ-ციფრული მაკეტირება;

16. საინჟინრო კომუნიკაციების გადაწყობის ამსახველი გეგმა, მ1:500 ან მ1:1000 (საჭიროების შემთხვევაში);
17. ტერიტორიის ისტორიულ-კულტურული კვლევა (საჭიროების შემთხვევაში);
18. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დასკვნა (საჭიროების შემთხვევაში);

შენიშვნები:

1. გრგ-ს პროექტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იქნეს ტერიტორიის არსებული მდგომარეობის ამსახველი წინასაპროექტო კვლევის მონაცემები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მე–2 თავის 8-ე მუხლისა და ამ გეგმარებითი დავალების მოთხოვნების შეასაბამისად;
2. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში შესათანხმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალში 5 და 15 პუნქტებში მითითებული მასალები AutoCAD ან ArchiCAD –ის ფორმატში იქნეს ატვირთული tas.ge გრგ–ს შეთანხმების ველში. საკოორდინატო სისტემა უნდა შეესაბამებოდეს WGS 1984 UTM Zone 38N-ს.

   გრგ-ით მოცული ტერიტორიის უფლებრივი ზონირების დეტალურ რუკაზე დადგენილი და ასახული უნდა იქნეს:

   - საპროექტო ტერიტორიის საზღვრები;
   - მიწის ნაკვეთის საზღვრები;
   - განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები);
   - შენობების მაქსიმალური დასაშვები სიმაღლეები _ H;
   - მიწის ნაკვეთების განაწილების რუკა (გამიჯვნის სქემა)
   - განაშენიანების კოეფიციენტი კ1;
   - განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2;
   - გამწვანების კოეფიციენტი კ3;
   - ცალკეული მიწის ნაკვეთების ფუნქციური გამოყენება, სამანქანო გზები და ავტოსადგომები;
   - მითითებული იქნეს გაბარიტული ზომები;

დამატებითი ინფორმაცია:

საპროექტო ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებული პროექტი და საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს დამკვეთმა ან დამპროექტებელმა (დამკვეთის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

წინამდებარე გეგმარებითი დავალება ძალაშია მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში.

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

წერილი № 2786431

გაცემის თარიღი: 19/08/2016 გაცნობის თარიღი: 22/08/2016

განცხადების ნომერი: AR1419358

შემოსვლის თარიღი: 11/07/2016

შედეგი: **თანხმობა**

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.18.01.002.021
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ნარიმანოვი , N 12 , (ნაკვ.02/021)
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 3361.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (204521794)

- საკადასტრო კოდი: 01.18.01.002.020
- მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ნარიმანოვი , N 12 , (ნაკვ.02/020
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 5497.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): სსიპ თვითმმართველი ქალაქი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (204521794)

ნომენკლატურა :

- **მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები**
- **განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება**
- **საცხოვრებელი ობიექტები**
  - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

დამკვეთი - განმცხადებელი:

- მიხეილ ბალიაშვილი პ/ნ 01005001410
- მისამართი: თბილისი დ.უზნაძის ქ. N 95

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანებისრეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

წერილი

თქვენი AR1419358 (11.07.16წ.) განცხადების პასუხად გაცნობებთ: ქალაქი თბილისში, კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. #12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: #01.18.01.002.021, 01.18.01.002.020) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხი განსახილველად იქნა გადაგზავნილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, რომლის 2016 წლის 16 აგვისტოს #258 განკარგულებით დამტკიცდა ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. #12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: #01.18.01.002.021, 01.18.01.002.020) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.

დანართის სახით გიგზავნით ზემოთაღნიშნულ #258 (16.08.16წ.) განკარგულებას და განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებას.

(დანართი: - განკარგულება #258 (16.08.16წ.) ,,გრგ“–ს დავალება)

კითხვების შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ: მერიის ცხელ ხაზს 2722222, არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციას, ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზს 2378346. ასევე მობრძანდეთ არქიტექტურის სამსახურის საკონსულტაციო ოთახში შარტავას ქ. #7 მერიის შენობა მეორე სართული ოთახი #9, ან რაიონულ გამგეობებში არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებთან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 258

“ 16 ” აგვისტო 2016 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.18.01.002.021; №01.18.01.002.020) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლის, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 14 ივლისი №36 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 3 აგვისტოს №04/14470 წერილის (AR1419358) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქ. №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ №01.18.01.002.021; №01.18.01.002.020) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1419358 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2.აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი





სპროექტო წინადადება

ზონა: საცხოვრებელი ზონა 6

კ1 -0.5
კ2 -3.0
კ3 -0.3

მიწის ნაკვეთების ფართობი:

ავტოსადგომების რაოდენობა:

8858 მ²
177 ადგილი

AB Architectural Bureau
ქ. თბილისში, ნარიმანოვის ქ. №12 -ში მდებარე მიწის ნაკვეთის (01.18.01.002.020, 01.18.01.002.021) წინასაპროექტო კვლევა.

განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება

პრ. მთავარი არქიტექტორი | გ. ბერეკაშვილი

2016 წელი

ქ. თბილისში, ნარიმანოვის ქ. №12 -ში მდებარე მიწის ნაკვეთის (01.18.01.002.020, 01.18.01.002.021) განაშენიანების რეგულირების გეგმა

ADS

სიტუაციური 1:2000



ტოპოგრაფიული გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 01.18.01.002.020; 01.18.01.002.021
მიწის ნაკვეთის ფართი 8858 კვ.მ;



ქს	საცხ. სახლი		ხის ღობე		წყალი
ას	არასაცხო. სახლი		ცხაურიანი ღობე		კავშირგაბმულობა
	მშენებარე შენობა		კედელი		კანალიზაცია
	სატრანსფორმატ. ჯიხური		ქვის ღობე		სანიაღვრე კანალიზაცია
	ფარდული		წიწვოვანი ხე		გაზი
რეზერ.	რეზერვუარი		ფოთლოვანი ხე		დაბალი ძაბვის ელქტრო ხაზი
			ფლატე		მაღალი ძაბვის ელექტრო ხაზი

შპს „[illegible] ალიანსი“

მისამართი: [illegible] №12			
დირექტორი	[illegible]		შესრ. თარიღი 15.11.2016წ.
ამზომველი	[illegible]		
კომპ. შესრ.	[illegible]		მასშტაბი 1:500
დამკვეთი			

M.G. ALLIANCE LTD GEORGIA

ი.ს. „მშენგეო“

ქ. თბილისი, იაკობ ნიკოლაძის ქ. №5ა

ტელ.: 223-13-82; 599 47-16-32

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ორთაჭალაში, ნარიმანოვის ქ. №12-ში მდებარე შ.პ.ს. „ემ.ჯი ალიანსი“-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთის (ს.კ. 01.18.01.002.020 და 01.18.01.002.021) გენგეგმის დასამუშავებლად წინასწარი ზოგადი (მიმოხილვითი) საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შესახებ

თბილისი

2016

ქ. თბილისში, ორთაჭალაში, ნარიმანოვის ქ. №12-ში მდებარე შ.პ.ს. „ემ.ჯი ალიანსი“-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთის (ს.კ. 01.18.01.002.020 და 01.18.01.002.021) გენგეგმის დასამუშავებლად წინასწარი ზოგადი (მიმოხილვითი) საინჟინრო-გეოლოგიური პირობები

საერთო ნაწილი

2016 წლის სექტემბრის თვის პირველ ნახევარში ი.ს „მშენგეო“-ს მიერ ადგილზე ჩატარებული იქნა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა სარეკოგნოსცირებო სამუშაოების წარმოებას, გენგეგმის დასამუშავებლად.

ამ მიზნით ადგილზე დეტალურად იქნა დათვალიერებული საკვლევი ტერიტორია და მიმდებარე უბნები. ასევე აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა და შეძლებისდაგვარად მათი სისტემაში მოყვანა.

აღნიშნული პროექტი ითვალისწინებდა ტერიტორიის გენერალური გეგმის დამუშავებას შესაბამისი ინფრასტრუქტურული პროექტების გათვალისწინებით.

ნაკვეთი მდებარეობს ორთაჭალაში, ნარიმანოვის ქ. №12-ის მიმდებარედ, ზღვის დონიდან 424.50 - 433.10 მ. სიმაღლეზე, გზის პირას, ყოფილი სამხედრო კომისარიატის შენობის გვერდით.

ტერიტორიაზე ადრე იდგა საქვაბის შენობა დამხმარე ნაგებობეით, რომლებიც დღეისათვის ექვემდებარება დემონტაჟს და მის ადგილას გათვალისწინებულია საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად მიმდინარეობს გზის მშენებლობა, რომელიც მიემართება შინდისისაკენ. გზის მშენებლობის გამო ტერიტორიაზე დაყრილი იქნა დიდი რაოდენობით ნაყარი გრუნტი, რომლის სიმძლავრე ზოგან 7.00-8.00 მ-ს აღწევს.

ქ. თბილისის და მისი შემოგარენის საინჟინრო გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური, ტექტონიკური, კლიმატური თუ სხვა მონაცემები ფართოდ არის გაშუქებული მრავალრიცხოვან ცნობარებსა თუ კრებულებში, რომლებსაც ჩვენ აქ არ მოვიყვანთ, აღვნიშნავთ მოკლედ, რომ გეომორფოლოგიური თვალსაზრისით საკვლევი უბანი წარმოადგენს შინდისის ქედის სინკლინში განვითარებულ რელიეფს, რომელიც აგებულია მესამეული ასაკის ძირითადი ქანებით – არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობის წყებით, რომელიც ზემოდან დაფარულია თანამედროვე მეოთხეული თიხნარებით და ქვიშნარებით, ზოგან ტექნოგენური გრუნტებით.

კერძოდ საკვლევ ნაკვეთზე საფარი ქანების სიმძლავრე უმნიშვნელოა და იგი 1.00-2.00 მ-ს არ აღემატება.

აღსანიშნავია, რომ ძირითადი კლდოვანი ქანები ზედა სახურავის ნაწილში დაახლოებით 0.70-1.20 მ სიღრმის ფარგლებში გამოფიტულია, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია პროექტირებისას.

ძირითადი ქანები წარმოდგენილია თაბაშირიანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობის წყებით. ქვიშაქვები მონაცრისფრო, რუხი, პოლიდიქტური, მსხვილ და საშუალო მარცვლოვანია, საშუალო და თხელშრეებრივი, ხოლო არგილიტები უფრო მუქი, მოშავო, ფირფიტისებრი აღნაგობის, თხელშრეებრივი. ქვიშაქვებისა და არგილიტების რაოდენობა გეოლოგიურ ჭრილში დაახლოებით 80:20-ია, ქანების ვარდნის კუთხე 20-22^0-ია.

ძირითადი ქანები სახურავის ნაწილში დისლოცირებული, სახეშეცვლილი და დანაპრალიანებულია.

რაც შეეხება კლიმატს, თბილისში ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალი ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, საშუალო წლიური ტემპერატურა 12,7°C, იანვარი 0,9°C, ივლისი 24,4°C; აბსოლუტური

მინიმალური ტემპერატურა -23°C, აბსოლუტური მაქსიმალური 40°C. ნალექები 560 მმ წელიწადში. უხვნალექიანია მაისი (90 მმ), მცირენალექიანი - იანვარი (20 მმ). თოვლის სახით ნალექი შეიძლება მოვიდეს საშუალოდ 15-25 დღე წელიწადში. გაბატონებულია ჩრდილოეთი და ჩრდილოეთ-დავასავლეთის ქარი, ხშირია აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

გრუნტის წყლის დონე ზედაპირთან ახლოს არ ფიქსირდება და ლიტერატურული მონაცემებით ამ მონაკვეთში მოსალოდნელი არ არის.

ვინაიდან დავალებით გათვალისწინებული იყო ტერიტორიის ზოგადი მიმოხილვითი დასკვნის შედგენა გენგეგმის დასამუშავებლად შემდგომში აუცილებლად მიგვაჩნია, მუშა პროექტის შედგენისას, ვიხელმძღვანელოთ ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესები და ნორმები) მოთხოვნათა შესაბამისად – ს.ნ და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), ს.ნ. და წ. 2.02.01-83 (პნ 02.01-08) შენობების და ნაგებობების ფუძეები, ს.ნ. და წ. (პნ 01.01-09) სეისმომედეგი მშენებლობა, ს.ნ. და წ. IV-5-82 ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები) ს.ნ. და წ. 2.03.11-85 (სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა) სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტების კლასიფიკაცია).

რეკომენდაცია

1. გენგეგმის დამუშავებისათვის გამოყოფილი ტერიტორია საინჟინრო გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.
2. საკვლევ უბანზე ძირითადად გავრცელებულია ორი ფენა:
   ფენა №1 – ნაყარი გრუნტი
   ფენა №2 – ძლიერ და სუსტად გამოფიტული კლდოვანი ქანები

3. დამუშავების სიძნელის მიხედვით შერჩეული ტერიტორიის ამგები გრუნტები თანახმად კლასიფიკაციისა სნდაწ IV-5-82-ის ცხრილის მიხედვით მიეკუთვნება შემდეგ ჯგუფებს:

   ა) ნაყარი გრუნტი – 24ბ;

   ბ) კლდოვანი ქანი, ვუთანაბრებთ – 28ბ

4. სეისმური თვალსაზრისით, საკვლევი უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას. ტერიტორიის ამგები გრუნტები მიეკუთვნება II-IV კატეგორიას. ტერიტორიის სეისმურობად მიღებულ იქნას 8 ბალი.
5. ზოგადად გენგეგმის დამუშავებისათვის შერჩეული ტერიტორია ფიზიკურ გეოლოგიური თვლსაზრისით მდგრადია, უარყოფითი მოვლენები მოსალოდნელი არ არის და დეტალური კვლევით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შემდგომ იგი დამაკმაყოფილებელია მშენებლობის საწარმოებლად.
6. როგორც აღინიშნა წინამდებარე დასკვნა შედგენილი იქნა ზოგად მიმოხილვით დონეზე უბნის გენგეგმის დასამუშავებლად, ამიტომ შემდგომში აუცილებლად მიგვაჩნია აღნიშნულ უბანზე დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ჩატარება.

ინჟინერ-გეოლოგი ლ. შანიძე

თბილისი

19.09.2016

განაშენიანების რეგულირების გეგმის

განმარტებითი ბარათი

ტერიტორიის მდებარეობის საორიენტაციო სქემა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, კრწანისის რაიონში, ნარიმანოვის ქუჩა #12-ში, მიწის ნაკვეთები #02.020 და #02.021. მდებარეობს პერიფერიულ ზონაში (იხ. ნახაზი "გრგ-2" და "გრგ-3").

ტერიტორიაზე არსებული საკადასტრო მასალების მონაცემები

8858 კვ.მ ფართობის საპროექტო ტერიტორია შემოსაზღვრულია ერთი მხრიდან საზოგადოებრივი სივრცით, მეორე მხრიდან - კერძო საკადასტრო ერთეულით, ხოლო ორი მხრიდან შემოსაზღვრულია ნარიმანოვის ქუჩით და შედგება ორი საკადასტრო ერთეულისგან (იხ. ნახაზი "გრგ-13").

საკადასტრო ერთეული 01.18.01.002.020

ნაკვეთის ფართი - 5497 კვ.მ.

შენობა-ნაგებობების ფართი - 676 კვ.მ.

სართულიანობა - მიწისქვეშა ერთი სართული.

ფუნქციური დანიშნულება - საწვავის რეზერვუარი.

მდგომარეობა - ავარიული.

გაცემულია ნებართვა დემონტაჟზე.

საკადასტრო ერთეული 01.18.01.002.021

ნაკვეთის ფართი - 3361 კვ.მ.

შენობა-ნაგებობის ფართი - 1119 კვ.მ.

სართულიანობა - სამი სართული.

შენობის სიმაღლე - 15 მეტრი.

ფუნქციური დანიშნულება - საწარმოო შენობა.

მდგომარეობა - ავარიული.

გაცემულია ნებართვა დემონტაჟზე.

გრგ-ს დავალების მონაცემები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 აგვისტოს #258 განკარგულება "გრგ-ს დავალების" დამტკიცების შესახებ.

ტერიტორიის ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური საფუძველი

საპროექტო ტერიტორიის რელიეფი არის საკმაოდ ქანობიანი. ნიშნულების სხვაობაა - 18.03 მეტრი (424.00 და 442.03). ტერიტორიის ერთ ნაწილში არის ნაყარი მიწის დიდი რაოდენობა. ცალკეული ობიექტების დაპროექტებისას საჭირო იქნება დამატებითი ღონისძიებების გატარება, როგორც სატრანსპორტო და ქვეითთა მოძრაობის, ასევე ნალექების ზედაპირული ნაკადების მოცილების ორგანიზების თვალსაზრისით. პროექტი ეყრდნობა შპს „ემ.ჯი. ალიანსის“-ს მიერ გაკეთებულ ტოპოგრაფიულ რუკას.

მოკლე საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, საკვლევი უბანი წარმოადგენს შინდისის ქედის სინკლინში განვითარებულ რელიეფს, რომელიც აგებულია მესამეული ასაკის ძირითადი ქანებით, არგილიტებისა და ქვიშა-ქვების მორიგეობის წყებით, რომელიც ზემოდან დაფარულია თანამედროვე მეოთხეული თიხნარებით და ქვიშნარებით, ზოგან ტექნოგენური გრუნტებით.

კერძოდ, საკვლევ ნაკვეთზე, საფარი ქანების სიმძლავრე უმნიშვნელოა და იგი 1.00-2.00 მ-ს არ აღემატება. აღსანიშნავია, რომ ძირითადი კლდოვანი ქანები ზედა სახურავის ნაწილში დაახლოებით 0.70-1.20 მ სიღრმის ფარგლებში გამოფიტულია.

ძირითადი ქანები წარმოდგენილია თაბაშირიანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობის წყებით. ქვიშაქვები მონაცრისფრო, რუხი, პოლიდიქტური, მსხვილ და საშუალო მარცვლოვანია, საშუალო და თხელშრეებრივი, ხოლო არგილიტები უფრო მუქი, მოშავო, ფირფიტისებრი აღნაგობის, თხელ შრეებრივი.

ქვიშაქვებისა და არგილიტების რაოდენობა გეოლოგიურ ჭრილში დაახლოებით 80:20 - ია, ქანების ვარდნის კუთხე 20-22 გრადუსია.

ძირითადი ქანები სახურავის ნაწილში დისლოცირებული, სახეშეცვლილი და დანაპრალიანებულია.

მოკლე კლიმატური მიმოხილვა

თბილისში ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალზე ჰავაა.

იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, საშუალო წლიური ტემპერატურა 12.7 C. იანვარი 0.9 C, ივლისი 24,4 C. აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა - 23.0 C გრადუსი. აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა, + 40.0 C. ნალექი 560 მმ წელიწადში. უხვნალექიანია მაისი, 90 მმ-იანი, მცირე ნალექიანია იანვარი, 20 მმ. თოვლის სახით ნალექი შეიძლება მოვიდეს საშუალოდ 15-25 დღე წელიწადში. გაბატონებულია ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ხშირია აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

გრუნტის წლის დონე ზედაპირთან ახლოს არ ფიქსირდება და ლიტერატურული მონაცემებით ამ მონაკვეთში მოსალოდნელი არ არის.

სეისმურობა

სეისმურობის თვალსაზრისით, საკვლევი უბანი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას. ტერიტორიის ამგები გრუნტები მიეკუთვნება II-IV კატეგორიას. ზოგადად, ტერიტორია, ფიზიკურ-გეოლოგიური თვალსაზრისით მდგრადია, უარყოფითი მოვლენები მოსალოდნელი არ არის.

ტერიტორიის გეგმა, მიწისქვეშა და მიწისზედა სინჟინრო კომუნიკაციების მონაცემებით

